MES 1 23 0000450624

25/04/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზია
დეკანოზი პავლე (გაგა ცერცვაძე) - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი
ნინო ჩიკვაშვილი - სკოლის დირექტორი
ნანა მონიავა - დაწესებულების წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი
ლელა ფიცხელაური
ნანა ედიშერაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 10 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
2. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის ვტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, კერძოდ, საბჭოს გააცნო ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი წერილი, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა უახლოეს საბჭოს სხდომაზე ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა სახელობის სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვის გადადებას.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. წარმოდგენილი შუამდგომლობების გათვალისწინებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
2. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის ვტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზი ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიამ 2023 წლის 28 მარტს ცენტრში წარადგინა წერილი, რომლის მიხედვითაც, არსებული სკოლა დაფუძნდა ახალი იურიდიული პირის სახით, კერძოდ, დაწესებულებამ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და შპს-დან გადავიდა ა(ა)იპ-ის ფორმაზე. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 443569005) 2023 წლის 04 აპრილის №377894 გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 28 მარტი. შესაბამისად, დაწესებულება შუამდგომლობდა შპს ფორმით არსებული დაწესებულებისთვის გაუქმებულიყო ავტორიზაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ დამატებით პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 443569005) 2023 წლის 04 აპრილის №377894 გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, და დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საჭირო იყო გაუქმებოდა ავტორიზაცია შპს საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიას (ს/კ: 243572834) რომლის ბაზაზეც დაფუძნდა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ს/კ: 443569005). მოცემული ეტაპისთვის შპს ფორმით არსებულმა დაწესებულებამ დაასრულა ყველა აქტივობა და ფუნქციონირება დაიწყო ახალდაფუძნებულმა სკოლამ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 20 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიას (ს/კ: 243572834) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ნანა ედიშერაშვილმა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 თებერვალს.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე. მან განაცხადა, რომ სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლებოდა ჩათვლილიყო სკოლის საგრანტო სისტემა და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა. სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის ხშირად აცხადებდა სხვადასხვა სახის კონკურსებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს სთავაზობდა დაფინანსების სხვადასხვა პაკეტებს, რაც მამოტივირებელი იყო მოსწავლეებისათვის. ასევე, სკოლის „360 გრადუსიანი შეფასების“ საფუძველზე ყოველწლიურად ხდებოდა საუკეთესო თანამშრომლების გამოვლენა. მათ სკოლა სთავაზობდა დაწინაურებას; ხელფასის მატებას; ერთჯერად წახალისებას; სკოლა აქტიურად მართავდა რეგიონალურ კონკურსებს და ჩართული იყო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის პროცესში.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ 2019 წელს სკოლას მიენიჭა ამერიკული უმაღლესი სკოლის აკრედიტაცია. ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2022 წლის 11 მაისს შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის „ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (ამჟამად, წოდებული როგორც Cognia Accreditation) 4 წლის ვადით.
ექსპერტის განცხადებით, შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა ქართულ ენაზე სამივე საფეხურზე ხოლო ამერიკული უმაღლესი სკოლის აკრედიტირებულ პროგრამებზე სწავლა მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 355 მოსწავლე. მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ქართულ ატესტატთან ერთად მიეღოთ ამერიკული სკოლის დიპლომი.
ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეთა კვირეული დატვირთვა აღემატებოდა ესგ-ით განსაზღვრულ შესაბამისი კლასის სარეკომენდაციო კვირეულ საათობრივ დატვირთვას. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ექსპერტის განცხადებით, სკოლა მისიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან მიზნად ისახავდა მოსწავლის ენობრივი ცნობიერების გამდიდრებას, რათა კურსდამთავრებულს შესძლებოდა ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. ამიტომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ენების მრავალფეროვან არჩევანს, გაზრდილი ჰქონდა უცხოურ ენაში მოსწავლის კვირეული დატვირთვა და სთავაზობდა ენების სწავლების განსხვავებულ მოდელს. სკოლაში მოსწავლეებს საშუალება ეძლეოდათ შეესწავლათ 3 უცხოური ენა.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ამსახველი დოკუმენტაცია, თემატური გეგმები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოები, სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტების დეტალურად დაგეგმილი პაკეტები სხვადასხვა კლასებისა და საგნების მიხედვით.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მატერიალური რესურსის შესახებ. მან განაცხადა, რომ შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი მდებარეობდა ქ. თბილისში. სკოლა საიჯარო ხელშეკრულებით 2026 წლამდე ვადით ფლობდა 1122 კვ.მ. მიწის ფართზე მდებარე , 2052.30 კვ.მ. შენობას. სკოლას, ვიზიტის პერიოდში, საჯარო რეესტრში გაკეთებული ჰქონდა განაცხადი იჯარის უფლების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით უძრავ ნივთზე. ვიზუალური დათვალიერებით და ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდებოდა, რომ სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში. შენობაში სართულების მიხედვით განთავსებული იყო პირველ სართულზე - ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის ოთახები, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ფსიქოლოგის ოთახი, სველი წერტილები, ადაპტირებული სველი წერტილი. მეორე სართულზე - ადმინისტრაციის ოთახი, 7 საკლასო ოთახი, სველი წერტილები. მესამე სართულზე - კომპიუტერული ლაბორატორია, არტ-სახელოსნო, სამასწავლებლო, 8 საკლასო ოთახი, სველი წერტილები. მეოთხე სართულზე - საბუნებისმეტყველო და STEM ლაბორატორია, 10 საკლასო ოთახი, სველი წერტილები.
ექსპერტის განცხადებით, სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, მიეცა რეკომენდაცია განეახლებინა უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეკრულება მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ეზოში ჰქონდა კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი (200 კვ.მ) ხელოვნური საფარით. სპორტული აქტივობებისთვის შემენილი ჰქონდა სხვადასხვა

ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო 68.90 კვ.მ ფართობის სპორტული დარბაზი. სპორტულ დარბაზს არ ჰქონდა გასახდელები.
ექსპერტის განმარტებით, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოეწყო სპორტული გასახდელები, როგორც ვაჟებისთვის, ისე გოგონებისთვის. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე დაწესებულებამ დააფიქსირა, რომ აღნიშნული ფართი არ იძლეოდა სპორტულ დარბაზში გასახდელების მოწყობის შესაძლებლობას, თუმცა, სკოლა, ახლო მომავალში, გეგმავდა ახალი შენობის აშენებას რაც შესაძლებელს გახდიდა ექსპერტთა რეკომენდაციის დაკმაყოფილებას.
ექსპერტმა განაცხადა, რომ შენობის ყველა ოთახს ჰქონდა ბუნებრივი განათება, შესაძლებელი იყო განიავება. სკოლაში მოწყობილი იყო 16 სველი წერტილი (6 ვაჟებისთვის, 7 გოგონებისთვის, 2 მასწავლებლებისთვის და 1 შშმ პირისთვის). სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სკოლას, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, მიეცა რეკომენდაცია მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით გაეზარდა სველი წერტილების რაოდენობა და კეთილმოწყობის ხარისხი.
ექსპერტის განმარტებით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ განმარტა, რომ ზაფხულის არდადეგების პერიოდში იგეგმებოდა სკოლის მეოთხე სართულზე დამატებით სველი წერტილების რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო ფუნქციური.
ექსპერტის განცხადებით, სკოლაში შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის და დაცული იყო არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. შესასვლელი უზრუნველყოფილი იყო პანდუსით. შენობის ოთხივე სართულზე ასვლა შესაძლებელი იყო ორი მხრიდან. შენობის ორივე მხარეს იყო კიბის უჯრედები, ერთ კიბეზე პირველიდან მეოთხე სართულის ჩათვლით დამონტაჟებული იყო მეტალის პანდუსი. პირველ სართულზე იყო ადაპტირებული სველი წერტილი.
ექსპერტის განცხადებით, სკოლას ვიზიტის პერიოდში სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, ცენტრალურ შემოსასვლელში, რომელიც მდებარეობდა ქუჩის მხარეს, ჯვარედინი ხედვის უზრუნველსაყოფად დაემონტაჟებინა დამატებით ერთი ვიდეო კამერა. არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და უზრუნველყო კამერის დამატება ისე, რომ შესაძლებელი გახდა შემოსასვლელი სივრცის ჯვარედინი კონტროლი.
ექსპერტის განცხადებით, სკოლაში დასაქმებული იყო 69 თანამშრომელი. მათ შორის 51 მასწავლებელი. სკოლას სტრუქტურის შესაბამისად შემუშავებული ჰქონდა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის წარმართვას. თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებაზე, შესაბამისად ხშირად უფინანსებდა კვალიფიკაციის კურსებს და ტრენინგებს, როგორც ქვეყნის შიგნით ისე უცხოეთში. სკოლა ხშირად იწვევდა საგნობრივ ტრენერებსა და კურიკულუმის ექსპერტებს სკოლაში პედაგოგთათვის ტრენინგების ჩატარების მიზნით. სკოლაში მიმდინარეობდა თითოეული თანამშრომლის მიერ გავლილი ტრენინგების აღრიცხვა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და არსებული შეუსაბამობები გამოსწორებული იყო და სკოლამ წარმოდგენილი ჰქონდა შესწორებული დოკუმენტები წინა ვიზიტის პერიოდშივე.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა სკოლა ხომ არ ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ვინაიდან მის სახელწოდებაში ფიქსირდებოდა სიტყვა ,,კოლეჯი" რაც ასოცირდებოდა პროფესიულ განათლებასთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა ახალ შენობაში გადასვლის შემდგომ, ახალი ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, გეგმავდა პროფესიული პროგრამების განხორციელებას. თუმცა ამ ეტაპისთვის მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა ახორციელებდა თუ არა სკოლა ესთეტიკურ აღზრდისა და სამოქალაქო განათლების პროექტებს, ვინაიდან სასკოლო კურიკულუმის შესწავლისას არ იყო წარმოდგენილი აღნიშნული.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას, ქართულ სექტორზე, მეათე და მეთერთმეტე კლასი არ ჰყავდა და სწორედ აღნიშნული იყო გამომწვევი მიზეზი, თუმცა სკოლას საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი ჰქონდა აღნიშნულ საგნებში კლასებისთვის.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ აღნიშნა, რომ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების სახით სკოლას სავალდებულო ჰქონდა ბუნებისმეტყველება/science IV-VII კლასებში და იგი დაინტერესდა თუ რით განსხვავდებოდა აღნიშნული საგნის საგანმანათლებლო პროგრამა ესგ-ით გათვალისწინებული პროგრამისგან.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ესგ-სგან განსხვავებული არ იყო, უბრალოდ იგივე პროგრამით სწავლება ხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, არაფორმალური განათლების პორტფოლიოს შესახებ, კლუბურ სამუშაო ჯგუფებში თუ რა ენაზე ხორციელდებოდა მუშაობა და ასევე, რა ასაკის მოსწავლეებისთვის იყო გათვლილი კლუბური სამუშაო - ბიზნესის კლუბი.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნესის კლუბი შედიოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე და ინტეგრირებული იყო სასწავლო პროცესში. სამუშაო პროცესის ენა კი იყო როგორც ქართული, ასევე ინგლისური. მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც ჰქონდათ კომპეტენცია, რომ კლუბური მუშაობა წარმართულიყო ორივე ენაზე. ასაკობრივი გადანაწილება კი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საფეხურებს შეესაბამებოდა.
საბჭოს წევრი, მანანა ჯინჭარაძე დაინტერესდა თუ რაში გამოიხატებოდა კადრის დაწინაურება 360 გრადუსიანი შეფასებისას.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასწავლებელს დამატებითი პასუხისმგებლობა დაკისრებოდა მისი ძლიერი მხარეების, კომპეტენციების შესაბამისად და ხელფასიც გაეზრდებოდა დაკისრებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ სკოლის სახელი შეუსაბამო იყო დაწესებულების საქმიანობასთან, გამომდინარე იქიდან, რომ შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი არ ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.
დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 5 სექტემბრიდან, რადგანაც დაწესებულებას ამ თარიღში ეწურება არსებული ავტორიზაციის ვადა.

აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესს (ს/კ: 405119394) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული და ინგლისური ენები.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე, 5 სექტემბრამდე შესაბამისობაში მოეყვანა დაწესებულების სახელწოდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეგულაციასთან და აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ცენტრისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 15:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა